საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 567 2024 წლის 23 აპრილი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „მომავლის ენერგიისათვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის გაცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ შპს „მომავლის ენერგიას“ (ს/ნ: 400180237) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით, წლიურ სარგებლობაში გადაცემის საფასურად – 7 301 (შვიდი ათას სამას ერთი) ლარად, აღნაგობის უფლებით გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, დმანისის მუნიციპალიტეტში მდებარე, ამ განკარგულების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონება.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის პირობებად განისაზღვროს:

ა) სარგებლობაში გადაცემის საფასურის – 7 301 (შვიდი ათას სამას ერთი) ლარის გადახდა ყოველწლიურად;

ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების გამოყენება საქართველოს მთავრობასა და შპს „მომავლის ენერგიას“ (ს/ნ: 400180237) შორის 2022 წლის 9 მარტს გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურის – „მაშავერა 2 ჰესის“ აშენებისა და ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

დანართი

N	მისამართი	დანიშნულება	ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი
1	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი განთიადი	არასასოფლო სამეურნეო	2709	82.13.43.878
2	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ამამლო	არასასოფლო სამეურნეო	100	82.15.49.107
3	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდი დმანისი	არასასოფლო სამეურნეო	9527	82.12.48.629
4	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდი დმანისი	არასასოფლო სამეურნეო	1667	82.12.48.630
5	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ამამლო	არასასოფლო სამეურნეო	1007	82.15.49.108
6	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი განთიადი	არასასოფლო სამეურნეო	3193	82.13.43.877
7	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი განთიადი	არასასოფლო სამეურნეო	3962	82.13.43.876